ვიდინის მიტროპოლიტი დანიელი: უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნენი თავიანთი რწმენის გამო ძალადობას განიცდიან

ვიდინის მიტროპოლიტი დანიელი (ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია) **ვიდეომიმართვით** გამოვიდა, სადაც, კერძოდ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის თემას შეეხო.

მან მიუთითა კანონიკური ეკლესიის მორწმუნეების ტანჯვაზე, „რომლებიც თავიანთი რწმენის გამო ძალადობას განიცდიან“. „უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაამტკიცა, რომ ის არის ამ ხალხის დედა, რომელიც თავის შვილებზე ზრუნავს. ამავე დროს, ხელისუფლება და ხალხის დიდი ნაწილი, რომელსაც ძლიერი ნაციონალისტური ცნობიერება აქვს, ვერ იტანს მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელ თავის თანამემამულეებს“, – განაცხადა იერარქმა.

მეუფე დანიელმა აღნიშნა: „ისეთი კანონებიც კი მზადდება, რომლის მიხედვითაც უკრაინელებისთვის შეუძლებელი იქნება მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარება. რატომ? იმიტომ, რომ არსებობს

რამდენიმე წლის წინ შექმნილი „საეკლესიო“ სტრუქტურა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მნიშვნელოვანი როლით, რომელსაც, საფუძვლიანად არ აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა. მას ბევრი პრობლემა აქვს იერარქიასთან, რომელიც შედგება მღვდლად და ეპისკოპოსად გამოცხადებული არახელთდასხმული პირებისგან. ამას თავად უკრაინელები ხედავენ და რამდენიმე წელია დევნას განიცდიან. ახლა კი ხედავენ, რომ ვინც ძალით იტაცებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებს, წვავენ და ანადგურებენ მათ, შემდეგ ლოცულობენ „მეუ“-სთვის მიტაცებულ ტაძრებში. ეს მჭევრმეტყველად ამბობს, თუ როგორია მათი რწმენა, მათი შეხედულებები. ამიტომ ადამიანებს არ სურთ მათთან შეერთება – ხალხი ხედავს, რომ აქ საკითხი რწმენაზე კი არა, მკვეთრად გამოხატულ ნაციონალიზმს ეხება. ეს არის არა მართლმადიდებლური სარწმუნოება, არამედ – „უკრაინა უპირველეს ყოვლისა!".

როგორც ბულგარელმა იერარქმა აღნიშნა, ეს მკაფიოდ გამოხატული ნაციონალიზმი ასევე შეუწყნარებელია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საკუთარ თავს უკრაინელებად თვლიან – „მაშინ რაღა უნდა ვთქვათ იმ ადამიანებზე, რომლებიც საკუთარ თავს რუსეთთან ასოცირებენ, ეთნიკურ რუსებზე?“. „წმიდა მთავარი ვლადიმერი, ვინც ხალხი მონათლა, ვისი მეფე იყო – უკრაინელების თუ რუსების? რომელი ხალხი მოინათლა კიევში – უკრაინელი თუ რუსი, თუ ერთი ხალხი, რომლისგანაც ეს ორი წარმოიშვა?.. – დაფიქრებას გვთავაზობს ვიდინელი მიტროპოლიტი დანიელი. – იყო სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ არის ასევე ბევრი ადამიანი, ვინც თავს რუს ხალხთან ერთობაში თვლის. და ეს გასაკვირი არ არის ოთხი საუკუნის ერთად ყოფნის შემდეგ“.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ასეთი შეუწყნარებლობა დღეს არ გაჩენილა, განაცხადა მღვდელთმთავარმა: „ჯერ კიდევ 2014 წელს, პირველი გადატრიალების შემდეგ, პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ ჩაიფიქრა „მეუ“-ს „საეკლესიო“ სტრუქტურის შექმნა, რომელიც გამოცალკევებულ იქნა კონსტანტინოპოლის პატრიარქის დახმარებით – სწორედ მან მისცა ამ სტრუქტურას „ტომოსი“. პეტრე პოროშენკოს დროს, 2014 წლიდან 2019 წლამდე, მისი მმართველობის ბოლოს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვის კანონი ჩაიფიქრეს და მისი შემუშავება დაიწყეს. ამან ჯერ კიდევ მაშინ მისცა საბაბი ნაციონალისტურად განწყობილ ადამიანებს, მიეტაცებინათ ტაძრები და მიერთებინათ ისინი „მეუ“-სთვის“.

„ამას ვერც ერთი ერი ვერ მიიღებს, მაგრამ უკრაინაში ეს ხდება“, – აღნიშნა მიტროპოლიტმა დანიელმა. – ჩვენ ვხედავთ, რომ საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ რწმენას, არამედ იმ ადამიანების ფიზიკურ არსებობასაც, რომლებსაც არ სურთ „მეუ“-ში ყოფნა. მაშინ დავუსვათ საკუთარ თავს კითხვა: ნუთუ ეს ადამიანები დაცვას არ საჭიროებენ? რატომ არავინ საუბრობს ამაზე? რატომაა, რომ ყველგან, სადაც ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლები დაგმეს, მსგავს რამეს საზოგადოებაში არ ითმენენ, უკრაინაში კი ეს არა მხოლოდ ნებადართულია, არამედ აქებენ კიდეც? ეს აშკარად მეტყველებს პოლიტიკოსების ორგულობასა და თვალთმაქცობაზე, რომლებიც თვალს ხუჭავენ იმაზე, რაც ხდება“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90427/